

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

მეხუთე ფასადი - მწვანე სახურავები

ხელმძღვანელი - მედეა მელქაძე

აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სტუდენტი - თათია გველესიანის

ბაკალავრიატი, IV კურსი, ჯგუფი 6000

პრეამბულა

სიახლეებისა და ყოველდღიურად განახლებადი ტექნოლოგიების ეპოქისთვის, წინსვლა და მოძრაობა, რა თქმა უნდა, ცხოვრების აუცილებელი ელემენტია, მაგრამ, სამწუხაროდ, “ტექნოლოგიურ განვითარებას” უარყოფითი შედეგებიც მოაქვს, რაც პირველ რიგში იმ გარემოზე აისახება, სადაც ადამიანი არსებობს, და რადგან ეს “უარყოფითი შედეგები” საკმაოდ მძაფრად განვიცადეთ, რატომაც არა, რომ დადებითი ავირჩიოთ და ძველი თბილისის ახალი სიცოცხლისთვის მისი ბუნებრივი ღირებულება - მეხუთე ფასადი დავტვირთოთ და “მწვანე სახურავების” კულტურა დავნერგოთ - დახრილი, გამწვანებული სახურავებისა და ტერასების სიმბიოზის სახით.

აქტუალობა

თბილისი, როგორც რთული რელიეფის ქალაქი, მოიაზრებს და ფაქტობრივად ფლობს მეხუთე ფასადს. მეხუთე ფასადი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეტაფორა, ასევე როგორც არსებული რეალობა-ფაქტი. ამგვარად მეხუთე ფასადი, როგორც მხატვრული გამოხატულება ერთია და როგორც შენობის კონსტრუქციული ნაწილი - სახურავი, მეორე.

- მეხუთე ფასადი, და რა არის ეს, რაში მდგომარეობს მისი ფენომენი?
- როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ერთის მხრივ მხატვრული მეტაფორაა, მეორეს მხრივ რეალობა. **თბილისის რთული რელიეფის შემადგენელი ხუთი ტერასა ქმნის ამ ფენომენს.**

თბილისი თავისი თვითმყოფადობით, ესთეტიკითა და სილამაზით იპყრობს, რა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ტურისტების ყურადღებას - შესაბამისად არის სახელმწიფო სტრუქტურების და ინვესტორების **ინტერესის ობიექტი**, თუმცაღა, სამწუხაროდ, მათი ყურადღება, არქიტექტურული თვალსაზრისით, არ დგას სათანადო სიმაღლეზე და ნამდვილად საჭიროებს კორექტირებას.

- და რა არის ის შეცდომები, რომელიც დედაქალაქის რეალობაში ისახება?

ეს გახლავთ არსებული გარემოს უარყოფა, რის შედეგადაც ვიღებთ - ისტორიული განაშენიანების, ავთენტური გარემოს ნგრევა. რა სახის არის ეს დესტრუქცია? შეგვიძია ვთქვათ, რომ თანამედროვე არქიტექტურული "შედეგები" ამოვარდნილია ქალაქის საერთო კონტექსტიდან და ერთმნიშვნელოვნად ანგრევენ ზოგადად ჩვენი დედაქალაქის სახეს.

ისტორიული ექსკუსი

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გენ-გეგმის საფუძველზე დაყრდნობით თბილისი 4 ნაწილისგან შედგებოდა ეს გახლავთ: სეიდაბადი ანუ "საკუთრივ ტფილისი" (ქალაქის უძველესი ნაწილი), კალა (ქალაქის უმთავრესი ნაწილი), ისნის (ისანი, ავლაბარი) და გარეთუბანი (იმ დროისთვის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია).

თბილისი თავისი ქუჩათა ქსელითა და სივრცული-არქიტექტურული გადაწყვეტით საკუთარი, მკვეთრათ განსაზღვრული სახის მატარებელი იყო, თუმცა ალა-მახმად-ხანის 1795 წლის შემოსევების გამო არ შემოგვრჩა თავის პირვანდელი სახით. ქალაქის დანგრეული შენობების საძირკველი შემდგომში გამოყენებული იქნა ახალი მშონებლობისთვის.

ამგვარად ჩვენთვის კარგად ნაცნობი თბილისის რთულრელიეფიან - ტერასული განაშენიანების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ბუნებრივ გარემოში ჩანერილი და ერთმანეთთან კიბე-ქუჩების საშუალებით დაკავშირებული უბნები ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სავსებით შესაძებელია, რომ თბილისის საერთო ხედს საკმაოდ ორგანულად შეერწყას მწვანე სახურავების თემა.

დასკვნა

რას წარმოადგენს საკუთრივ "მწვანე სახურავი"? - ეს გახლავთ ნაწილობრივ ან მთლიანად მწვანე ნარგავებით დაფარული შენობის სახურავი. მწვანე ფენასა და სახურავს შორის მოთავსებულია წყალგაუმტარი მემბრანული ფენა. (ფოტო)

გამწვანებელი სახურავების კლასიფიკაცია შესაძლებელია ნიადაგისა და მოვლის რაოდენობის მიხედვით, კერძოდ, გამოყოფენ ინტენსიურ და ექსტენსიურ სახურავებს. მაღალი მცენარეებისთვის 1 მეტრამდე ნიადაგია საჭირო და ჩვეულებრივი ბალის მსგავსად საჭიროენ მუდმივ მოვლას. ინტენსიური გამწვანების შედეგად სახურავი შეიძლება პატარა პარკსაც დაემსგავსოს, სადაც დაინერგება ნებისმიერი მცენარე. ექსტენსიური სახურავები თითქმის არ საჭიროებს მოვლას, ხოლო მცენარეების დასანერგად საკმარისია მცირე ნია დაგის ფენაც.

ამ ტექნოლოგიის გათვალისწინებით მწვანე სახურავად არ შეიძლება ჩაითვალოს ქოთნებში განთავსებული, სახურავზე გამოფენილი მცენარეები.

აღნიშნული ტექნოლოგიის უპირატესობები:

1. შენობის მიკროკლიმატის რეგულირებისთვის გამოსაყენებელი ხელოვნური სისტემების რიცხვის შემცირება. (2005 წლელს ტორონტოს უნივერსიტეტში კვლევებით დაამტკიცეს, რომ გამწვანებული სახურავები ამცირებენ სითბოს გაცემას რის შედეგადაც გათბობის ხარჯი ცივ პერიოდში მცირდება).

2. შენობის გასაცვივებლად განეული ხარჯის შემცირება. (ბუნებრივად ხდება ტენის აორთქლება).

3. სახურავის გადახურებისგან დაცვა (სახურავები, რომელზეც განლაგებულია სათბურები განსაკუთრებით იცავენ სახურავებს გადახურებისგან. საერთო ჯამში მწვანე სახურავების დიდ რაოდენობას შეუძია არსებითად შეამციროს ტემპერატურა ქალაქში).

4. წვიმის წყლის რაოდენობის შემცირება

5. საერთო ჯამში დადებით საცხოვრებელი გარემოს შექმნა ფაუნის წარმომადგენელთათვის.

6. მწვანე სახურავები წარმადგენდნენ სოციალური პროგრამის ნაწილს (გამწვანებულ სახურავზე შესაძლოა მეორნეობის გამართვა)

7. ჰაერის დაბინძურების რაოდენობის შემცირების ხელშეწყობა. (სუფთაგარემო კი ჯანსაღი საცხოვრებელი პირობების საწინდარია).

8. შენობისთვის ხმის იზოლაციის უზრუნველყოფა. (ნიადაგის ფენა შთანთქმავს დაბალი სიხშირის ბგერებს, ხოლო მცენარეები მაღალი).

9. გამწვანებული სახურავი საკუთრივ სახურავის ექსპლუატაციის ვადას ზრდის.

აღნიშნული სახურავების ძირითად ნაკლს საწყისი ღირებულება წარმოადგენს, თუმცა რადგან ასეთი სახურავები უფრო მეტ ხანს ძლებენ, ვიდრე ჩვეულებრივი (გამომდინარე იქიდან, რომ ვეგენერაცია და მემბრანული ფენები ნალექებისგან, ულტრაიისფერი სხივებისგან და სხვა იცავს) საბოლოო ჯამში თითქმის ანაზღაურდებს პირველად ღირებულებას.

რეკომენდაცია

მწვანე სახურავების თემის შემოტანა, ქალაქის მომავალი განვითარების გეგმის საკმაოდ აქტიური ნაწილი უნდა გახდეს.

ამ ტექნოლოგიის ჩარევით არ მხდება ძველი თბილისის ეროვნული და ზოგადსაკაცობრივო მხატვრულ-ისტორიული, ურბანული და ქალაქგეგმარებითი ფასეულობების ხელყოფა, პირიქით დაინყება ახალი ეტაპი, რომელიც მრავალი, კომპლექსურად გადასაჭრელი პრობლემების მოაგვარებას შეუწყობს ხელს. თუმცაღა ზემოთ აღნიშნული მოხვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ძველ თბილისს განვიხილავთ, როგორც ქალაქგეგმარებით სივრცულსტრუქტურულ ძეგლს და არა როგორც თითოეულ შენობას, როგორც ძეგლს, რომლის ნებისმიერი სახით ხელყოფა კანონით იკრძლება.

ბიბლიოგრაფია:

* <http://ka.wikipedia.org/wiki/>

* <http://lynx-s.livejournal.com>

* <http://www.ecology.md>